შ.პ.ს.
"შშენ-ექსპერტი"



LTD
"B U I L D-E X P E R T"

30 ივნისი 2014 წ.

ექსპერტიზის დასკვნა

ობიექტის მისამართი:	ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება მე-4ბ მკ/რ, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთი (ს.კ.01.11.13.010.051)
დამკვეთი:	შპს „ESSA GE“, დირექტორი: ვ. ჯალაღონია
დასკვნის შედგენის საფუძველი:	ხელშეკრულება №88/14, 23.06.2014 წ
ობიექტის დასახელება:	ასაშენებლი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
დაწყებულია:	2014 წლის 23 ივნისი
დასრულებულია:	2014 წლის 30 ივნისი

თბილისი
2014 წელი

შპს „მშენ-ექსპერტი“

ვამტკიცებ,
დირექტორი _____
მ. წიქარიშვილი
თბილისი
2014 წლის “30” ოქტომბერი

ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4ბ მკ/რ-ში,
№29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051)
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გავლენის შესახებ
№3 და №29 კორპუსებზე

თბილისი
2014 წელი

შემადგენლობა:

1. შესავალი
2. ექსპერტების მონაცემები
3. ექსპერტების წინაშე დასმული შეკითხვა
4. კვლევითი ნაწილი
5. დასკვნა (პასუხი დასმულ კითხვაზე)



1. შესავალი

2013 წლის „20“ ივნისს შპს „ESSA GE“-ს დირექტორს ვ. ჯალაღონიასა და შპს „მშენ-ექსპერტი“-ს დირექტორს მალხაზ წიქარიშვილს შორის გაფორმებული №88/14 ხელშეკრულების საფუძველზე დაინიშნა ექსპერტიზა.

2. ექსპერტის მონაცემები

ექსპერტიზის ჩატარება დაევალა:

დემური ტაბატაძე – განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი მშენებლობის დარგში, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის კათედრის პროფესორი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საინჟინრო აკადემიიის აკადემიკოსი, მუშაობის სტაჟი – 38 წელი.

ალექსანდრე წაქაძე – განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი, მშენებლობის ექსპერტის მაგისტრის ხარისხი, მშენებლობის აკადემიური დოქტორის ხარისხი, მუშაობის სტაჟი – 8 წელი.

ნიკა კაპანაძე – განათლება უმაღლესი, სპეციალისტი, გეოდეზისტ-ამგეგმავი, მუშაობის სტაჟი – 3 წელი.

3. ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვა

გთხოვეთ ჩაგვიტაროთ ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4ბ მკ/რ-ში, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გავლენის შესახებ ექსპერტიზა №3 და №29 კორპუსებზე.

გამოსაკვლევად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

1. ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4ბ მკ/რ-ში, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაცია.

გამოყენებული აპარატურა

1. ციფრული ფოტოაპარატი – „fujifilm“;
2. ლაზერული მანძილმზომი;
3. ხვეულა მანძილმზომი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. СНиП 2.02.01-83 основания зданий и сооружений, 1983 г.;
2. Справочник проектировщика. „Основания фундаменты и подземные сооружения“. М. 1985 г;
3. СНиП 2.03.01-84* „Бетонные и железобетонные конструкции“. М. 1988 г.

4. კვლევითი ნაწილი

წარმოდგენილი დასკვნის მიზანია დადგინდეს, თუ რამდენად საკმარისად არის დაცილებული საპროექტო შენობის საძირკველი მიმდებარედ არსებული შენობის საძირკვლებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი მდგრადობა, კერძოდ, კორპუსი №29 და №3.

დასკვნის მომზადების დროს გამოყენებული იქნა საპროექტო დოკუმენტაცია (კონსტრუქციული და არქიტექტურული ნაწილები და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში).

საპროექტო შენობის საძირკვლის ძირის ნიშნული უნდა დაინიშნოს არსებული შენობის საძირკვლის ძირის ნიშნულის მიმართ შემდეგი პირობით (იხ. Справочник проектировщика, „Основания, фундаменты и подземние сооружения“, М, 1985):

$$\Delta h \leq a\left(tg\varphi_I + \frac{C_I}{p}\right),$$

სადაც: a – საძირკვლებს შორის მანძილია; φ_I, C_I – ფუძე-გრუნტების შიგა ხახუნის კუთხისა და შეჭიდულობის ძალის საანგარიშო მნიშვნელობებია; p – ზედა საძირკვლის ძირზე საშუალო საანგარიშო დატვირთაა.

გეოლოგიური ანგარიშის საფუძველზე (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა) გრუნტის მახასიათებლები შემდეგია: φ=19°, C=0.54, ზედა საძირკვლის ძირზე საშუალო საანგარიშო დატვირთვა P=2.2 კგ/სმ^2.

საპროექტო შენობის საძირკველის ძირსა და არსებული შენობის (კორპუსი №29) საძირკვლის ძირს ნიშნულებს სხვაობაა Δh=3.4 მ-ია. ამგვარად საძირკვლებს შორის დასაშვები მინიმალური მანძილი იქნება:

$$a \geq \frac{\Delta h}{tg\varphi_I + \frac{C_I}{p}}$$

$$a \geq \frac{3.4}{tg19° + \frac{0.54}{2.2}} = 5.7 \text{ მ}$$

საპროექტო შენობის საძირკველის ძირსა და არსებული შენობის (კორპუსი №3) საძირკვლის ძირს ნიშნულებს სხვაობაა Δh=4.4 მ-ია. ამგვარად საძირკვლებს შორის დასაშვები მინიმალური მანძილი იქნება:

$$a \geq \frac{\Delta h}{tg\varphi_I + \frac{C_I}{p}}$$

$$a \geq \frac{4.4}{tg19° + \frac{0.54}{2.2}} = 7.5 \text{ მ}.$$

5. დასკვნა

(პასუხი დასმულ კითხვაზე)

კვლევით ნაწილში მოცემულ გაანგარიშებათა საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის, კერძოდ გენერალური გეგმის მიხედვით ქვაბულის დამუშავება და შენობის მშენებლობა საფრთხეს არ შეუქმნის საცხოვრებელი კორპუსების №3-სა და №29-ს მდგრადობას, როგორც მშენებლობის, ასევე მისი შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში.

ექსპერტი

პროფესორი /დ. ტაბატაძე/

ინჟინერ-კონსტრუქტორი /ა. ფაქაძე/

სპეციალისტი /ნ. კაპანაძე/



სრული პროფესორი დემური ტაბატაძე

--

(CV)

სტუ-ს საინჟინრო მექანიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი		
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი		კოსტავას ქ. № 68, სტუ-ს I სასწავლო კორპუსი, IV სართული, ოთახი ბ-430
ეროვნება		ქართველი
დაბადების თარიღი, პ/№		1949 წლის 23 ივლისი, პ/601009021555
ოჯახური მდგომარეობა		ცოლშვილიანი
საკონტაქტო ინფორმაცია		
ქვეყანა, ქალაქი		საქართველო, ქ. თბილისი
მისამართი		ქ. თბილისი, აბაშიძის 41.ბინა17
PHONE/FAX	სამ.	60-30 36-35-06
	ბინა	+(99532) 2227704
	მობ.	599 179823
E-mail:		demuritabatadze@yahoo.com; demuri 10@ mail.ru.

კვალიფიკაცია

- ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, „სამშენებლო მექანიკა“, მოსკოვის სამშენებლო საინინრო ინსტიტუტი 1983 წ. 28ოქტომბერი დისერტაცია „მილსადენების დინამიკური ანგარიში საყრდენებზე მშრალი ხახუნის გათვალისწინებით“. ხელმძღვანელი პროფესორი მ. სობოლევი.
- ინჟინერ მშენებელი, ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1971 წლის ივნისი. თემა: „ლითონის კონსტრუქციებისგნ შედგენილი სტრუქტურული გადახურვის ანგარიში“. ხელმძღვანელი პროფ. კ. რაზმაძე.

განათლება

- 1974-1978 წწ. ასპირანტურა, მოსკოვის ვ.ვ. კუიბიშევის სახელობის სამშენებლო საინჟინრო ინსტიტუტი. სამშენებლო მექანიკის კათედრა.
- 1966-1971 წწ. ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი. წარჩინებით.

პედაგოგიური აქტივობა: (სალექციო კურსები)

- სამშენებლო მექანიკა (ბაკალავრიატი),
- სეისმომედეგობა (ბაკალავრიატი).
- თხელკედლიანი სივრცითი სისტემები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა)
- სამშენებლო მექანიკის სპეცკურსი (მაგისტრატურა).

სამეცნიერო აქტივობა:

- ფილებისა და გარსების ოპტიმალური დაგეგმარება.
- დრეკად-პლასტიკური სისტემების და ანაკრები კონსტრუქციების ზიდვის უნარის საკითხები.
- ფილებისა და გარსების გაანგარიშების საკითხები მათი გეომეტრიული და ფიზიკური მახასიათებლების ნახტომისებური ცვლილებების გათვალისწინებით.
- სამფენოვანი ფირფიტებისა და გარსების გაანგარიშება მასალის დრეკად-პლასტიკური თვისებების გათვალისწინებით.
- შენობების, როგორც დისკრეტულ-კონტინუალური სისტემების გამოკვლევა, მიწისძვრისას აღძრული იმპულსურ ზემოქმედებაში.

რჩეული სამეცნიერო შრომები

1. დ. ტაბატაძე. მერიდიანულ კვეთებში შეპირაპირებული ელემენტების მქონე ანაკრები გუმბათის გაანგარიშებისათვის. საქ. მეცნიერებათა აკადემია „მოამბე“ 91 №2, 1978.
2. დ. ტაბატაძე, ი. კაკუტაშვილი. ანაკრები ბრუნვითი გარსების გაანგარიშება მასალის მყიფე-პლასტიკური თვისებების გათვალისწინებით. საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომების კრებული №9(291), 1985.
3. დ. ტაბატაძე. დრეკად გარემოში დეფორმაციული ანაკრები ცილინდრული რეზერვუარის გაანგარიშება. საქ. მეცნიერებათა აკადემია „მოამბე“ 120 №3, 1985.
4. დ. ტაბატაძე. ანაკრები ორთოტროპიული ბრუნვითი გარსების რაციონალური სისქის შერჩევა. საქ. მეცნიერებათა აკადემია „მოამბე“ 124 №3, 1986.
5. დ. ტაბატაძე. იდეალური ფენოვანი კონსტრუქციის ანაკრები სფერული გარსის გაანგარიშება. საქ. მეცნიერებათა აკადემია „მოამბე“ 124 №2, 1986.
6. დ. ტაბატაძე, ნ. მამათელაშვილი, თ. ჯაჯახიშვილი. ორი კონცენტრული წრიული რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული ფილის დრეკად-პლასტიკური წონასწორობის შესახებ. საქ. მეცნიერებათა აკადემია „მოამბე“ 134 №II, 1986.
7. დ. ტაბატაძე. ანაკრები ორთოტროპული ბრუნვითი გარსების ზიდვის უნარისა და ოპტიმალური დაგეგმარების შესახებ. „ხის და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციების სრულყოფა და ანგარიში“ შრომების კრებული, პეტერბურგი, 1996.
8. დ. ტაბატაძე, ვ. თარხნიშვილი, მ. მშვენიერაძე. ხერეტებით შესუსტებული ანიზოტროპული ფილების გაანგარიშების შესახებ. ჟურნალი „საშენი მასალები და ნაკეთობები“, №3, 1998.
9. დ. ტაბატაძე, ვ. თარხნიშვილი, თ. ბაციკაძე. ხერეტებით შესუსტებული ფირფიტის გაანგარიშებისათვის, ბრტყელი ამოცანის დაყვანა ჩვეულებრივ დიფერენციალური

განტოლებებში. საქ. მეცნ. აკადემია „მოამბე„ 158 №1, 1998 (ინგლისურად).
10. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი. გეომეტრიულად არაწრფივი დამრეცი გარსების რაციონალური სისქის შერჩევის შესახებ. სტუ, შრომების კრებული №1(427), 1999.
11. დ. ტაბატაძე. სწორკუთხედის ფორმის განივკვეთიან დახრილ არხში სითხის ლამინირებულ დინებაზე ამოცანის ზუსტი გადაწყვეტა. ჟურნალი „ენერგია“ №1(13), 2000.
12. დ. ტაბატაძე, ი. ღუდუშაური, მ. ყალაბეგაშვილი. მართკუთხა ფორმის დახრილ არხებში სითხის ლამინირებული დინების შესახებ. საქ. მეცნ. აკადემია „მოამბე“ 162 №2, 2000.
13. დ. ტაბატაძე, ვ. თარხნიშვილი. სამკუთხა პრიზმის სახით დატვირთული კონტურით დაყრდნობილი მართკუთხა ფირფიტის გაანგარიშების პრაქტიკული მეთოდი. მეცნიერება და ტექნოლოგია №4-6 2001.
14. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი. მართკუთხა ფილების და დამრეცი გარსების გაანგარიშება დიდი გადაადგილებისა და საყრდენთა ჯდენის გათვალისწინებით წრფეთა მეთოდის ინტეგრალური ვარიანტის გამოყენებით. პროფესორ მ. მიქელაძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომების კრებული, 2001.
15. დ. ტაბატაძე, ზ. მაძაღუა, დ. დანელია, რ. ცხვედაძე. ზოგიერთი საინჟინრო ამოცანის გადაწყვეტა წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის შეცვლით ექვივალენტურ ალგებრულ განტოლებათა სისტემით. ჟურნალი მეცნიერება და ტექნოლოგიები №1-3, 2002.
16. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი. ზოგიერთი მოსაზრება მიწისძვრისას კარკასული ნაგებობის სვეტებზე დარტყმის ეფექტის გათვალისწინებისათვის. სამშ. მექ. და სეისმ. ინსტ. შრომები, თბილისი, 2003.
17. დ. ტაბატაძე რ. ცხვედაძე, მ. ყალაბეგაშვილი, რ. გიორგაძე სქელი ფილის ღუნვის სივრცითი ამოცანის გადაწყვეტა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის შრომები, 2003.
18. დ. ტაბატაძე, ი. მელაშვილი, გ. ქორქია. ღრუ ღეროს კრიტიკული ძალის ექსპერიმენტალური გამოკვლევა მჭიმი დიაფრაგმის გამოყენებით. ჟურნალი „მშენებლობა“, №2, 2006.
19. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, ლ. კახიშვილი. შენობის, როგორც დისკრეტულ-კონტინუალური სისტემის გრძივი რხევები გამოწვეული მიწისძვრისას აღძრული იმპულსური ზემოქმედებით. ჟურნალი „მშენებლობა“ №4(4), 2008.
20. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, მ. ჩხიტუნიძე. შენობის როგორც დისკრეტულ-კონტინუალური სისტემის გრეხითი რხევები გამოწვეული მიწისძვრისას აღძრულ იმპულსურ ზემოქმედებაში. ჟურნალი „ინტელექტი“ №1(33) თბილისი 2009.
21. რ. ცხვედაძე, ზ. მაძაღუა, დ. ტაბატაძე, დ. ჯანყარაშვილი. უჯრი კოჭების გაანგარიშების გამარტივებული მეთოდი. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებელი“, № 1(16). 2010. გვ. 17-20.
22. Калабегашвили М.Г., Табатадзе Д.В., Кахишвили Л.И., Купарадзе Л.П., Чхитунидзе С.Г. О нелинейных колебаниях здания. работающего в пределах каждого этажа на сдвиг, при импульсном перемещении грунта. Научно-технический журнал «Строительство» № 2(17), 2010.
23. მ. ყალაბეგაშვილი, დ. ტაბატაძე. გრუნტის იმპულსური გადაადგილებებით გამოწვეული ორი შეყურსული მასის არაწრფივი რხევების შესახებ ღეროების მხოლოდ ძვრაზე მუშაობისას. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, № 1-3, 2010.
24. R. Tskhvedadze, G. Kipiani, D. Tabatadze. Calculation of shills and plated constructed from composite materials. Conference, Experimental, Applied Mechanics; Experimental Mechanics of High performance Systems. June 7-10. Indianapolis, IN USA. 2010. pp. 28-29.
25. Guduchauri, R. Tskhvedadze, A. Sokhadze, D. Tabatadze. Solution of spatial tasks of rods with cross-sections of different forms using the double trigonometric series. Georgian international Journal of Science and Technology. ISSN 1939-5825. Volume 2, Number 1, Nova Science Publishers, Inc. 2010,

pp. 63-71.
26. რ.ცხვედაძე, დ.ტაბატაძე, თ.შუკაკიძე, ი. გიორგაძე, ლ. ლოლაძე. ბეტონის ნიმუშის კუმშვაზე ექსპერიმენტალური და თეორიული გაანგარიშების შედეგები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა", #3(22), 2011.

სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები

1. დ. ტაბატაძე, რ. ცხვედაძე. მეთოდური მითითებები პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად ფილების ღუნვის თეორიაში. თბილისი, სპი 1985.
2. რ. ცხვედაძე, დ. ტაბატაძე ჩარჩოების გაანგარიშების მიახლოებითი მეთოდები (დამხმარე სახელმძღვანელო) სტუ-ს გამომცემლობა, 1997.
3. რ. ცხვედაძე, დ. ტაბატაძე. ღეროვანი სისტემების მდგრადობა. სახელმძღვანელო. სტუ-ს გამომცემლობა, 1997.
4. რ. ცხვედაძე, დ. დანელია, ზ. მაძაღუა, დ. ტაბატაძე ღეროებისა და მართკუთხა ფირფიტების ღუნვაზე გაანგარიშების პრაქტიკული მეთოდი. „სტუ"-ს გამომცემლობა, თბილისი, 2000, მონოგრაფია.
5. რ. ცხვედაძე, ი. ღუდუშაური, დ. ტაბატაძე. დრეკადობის თეორია. სახელმძღვანელო. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2005.
6. რ. ცხვედაძე, დ. ტაბატაძე, ს. კაკუტაშვილი. სამშენებლო მექანიკა. I ნაწილი. სახელმძღვანელო. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. 2006.
7. დ. ტაბატაძე, რ. გიორგაძე, რ. ლორთქიფანიძე. ლითონის წამწისა და ჰიდროტექნიკური საკეტის გაანგარიშება-კონსტრუირება. მეთოდური მითითებები. თბილისი „მეცნიერება" 1985.
8. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, რ. ცხვედაძე. მეთოდური მითითებები თხელკედლიანი სივრცული სისტემის გაანგარიშების თეორიაში. „ტექნიკური უნივესიტეტი", თბილისი, 2004.

სამეცნიერო კონფერენციები

1. დ. ტაბატაძე, რ. ცხვედაძე. დრეკადი და პლასტიური წრიული ელემენტების შედგენილი ანაკრები წრიული ფილებისა და სფერული გუმბათის გაანგარიშებისათვის. XXIII რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. სპი, 1981.
2. დ. ტაბატაძე. ანაკრები გუმბათის დრეკადი ელემენტების გაანგარიშება. ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. 1984.
3. დ. ტაბატაძე, გ. ბახღაძე, ნ. მამათელაშვილი. პლასტიკურობის წარმოქმნის პროგნოზირება ფილებსა და გარსებში. საქ. მეცნ. აკადემიის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. 1990.
4. დ. ტაბატაძე. წყვეტილმახასიათებლიანი მრუდწირული ფილების პლასტიკური დეფორმაციების გავრცელების პროგნოზირების შესახებ. სტუ პროფ. ა. გორგიძის 90 წელთან დაკავშირებით უწყვეტ ტანთა მექანიკის პრობლემებზე საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები, 1997.
5. დ. ტაბატაძე. ანაკრები დრეკადი ფილების გაანგარიშებისათვის. სტუ პროფ. ა. გორგიძის 90 წელთან დაკავშირებით უწყვეტ ტანთა მექანიკის პრობლემებზე საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები, 1997.
6. დ. ტაბატაძე, რ. ცხვედაძე, ვ. თარხნიშვილი. წყვეტილმახასიათებლიანი გარსებისა და ფილების გაანგარიშების შესახებ. სტუ საერთაშორისო სიმპუზიუმის მოხსენებათა თეზისები, 1998.
7. დ. ტაბატაძე, ი. ჭურაძე, ვ. თარზნიშვილი. ნებისმიერი მოხაზულობის გვირაბის გაანგარიშების შესახებ. სტუ საერთაშორისო სიმპუზიუმის მოხსენებათა თეზისები,

1998.

8. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი. წყვეტილმახასიათებლიანი დამრეცი გეომეტრიულად არაწრფივი გარსის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე საყრდენების ჯდენის გავლენის შესახებ. გარსების მექანიკის აქტუალ. პრობლემები, საერთ. კონფერენციის შრომები, ყაზანი, 1998.
9. დ. ტაბატაძე, ე. თარხნიშვილი. ხვრეტებით შესუსტებული თხელი დრეკადი გარსების შესახებ. გარსების მექანიკის აქტუალ. პრობლემები, საერთ. კონფერენციის შრომები, ყაზანი, 1998.
10. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, ი. ღუდუშაური. გარსების მექანიკის შესახებ ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში. კაზანის საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა თეზისები, 2000.
11. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, ი. ღუდუშაური. ანიზოტროპული დამრეცი გარსების წყვეტილი ამონახსნების შესახებ, ძვრის დეფორმაციების და სასრული ჩაღუნვების გათვალისწინებით. კაზანის საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა თეზისები, 2000.
12. დ. ტაბატაძე, რ. ცხვედაძე. დრეკად ფუძეზე მდებარე ფილების ანგარიში ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში. პროფესორ მ. მიქელაძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომების კრებული, 2001.
13. დ. ტაბატაძე, თ. შუკაკიძე. Об одном методе расчёта нелинейно-упругих круглых пластинок при больших деформациях. საერთაშორისო კონფერენცია უწყვეტ ტანთა მექანიკის პრობლემები, შრომები, 2007.
14. დ. ტაბატაძე, ზ. ზივზივაძე. ანიზოტროპული პრიზმული ძელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრა არათანაბარი ტემპერატურული ზემოქმედების შემთხვევაში. საერთაშორისო კონფერენცია „მექანიკის არაკლასიკური ამოცანები“, ქუთაისი. 2007.
15. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, ლ. კახიშვილი. On Framework Building Columns seismic Impact Effect. საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 2008.

საზოგადოებრივი საქმიანობა

- პროფბიუროს მდივანი.
- ფაკულტეტის სასწავლო-მეთოდური კომისიის წევრი.
- ფაკულტეტის საბჭოს წევრი,
- ფაკულტეტის დიპლომების დაცვის სახელმწიფო კომისიის წევრი.
- დისერტაციის დაცვის კომისიის წევრი.
- საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი.
- საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ კორესპოდენტი

სამუშაო გამოცდილება

1971-75 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ინჟინერი.

1975-83 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ტექნიკური სექტორის ხელმძღვანელი.

1992-2009 – ს.ს.ი.პ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

2009 – ს.ს.ი.პ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

1992-2006 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო და სეისმომედეგობის კათედრის დოცენტი.

2006-2013 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო და სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

2008-დღემდე – შპს „მშენ-ექსპერტი“	
გამოცდილება	პროექტი 249. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი. თემა „მიწისძვრისას კარკასულ შენობების სვეტებში დარტყმის ეფექტის გათვალისწინება“ 2007-2008 წ. ძირითადი შემსრულებელი. პროექტი 5526. „ნავთობის ნათელი ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდა და მათი გაკეთილშობილება“. 2.1. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია MHTC. პროექტი 5486. „მინერალური ზეთების წარმოება და ნამუშევარი მოტორული ზეთის რეგენერაცია“. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია MHTC. პროექტი 5464. „ექსტრემალური ჰიდროდინამიკური მოქმედებების პროგნოზირება ჰიდროსისტემებში და გარემის დაცვა“. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია MHTC. 2002-2013 წლების განმავლობაში მრავალი შენობა-ნაგებობის ექსპერტიზა.მდგრადობის გამოკვლევა, ნაგებობათა ურთიერთ გავლენის გამოკვლევა მშენებლობის პროცესში.
ენები	ქართული – მშობლიური რუსული – კარგად ინგლისური – ლექსიკონის დახმარებით
კომპიუტერული პროგრამები	Windows Ms Word Ms Excel Internet Explorer AutoCAD Лира.
2012 წლის იანვრის მდგომარეობით	

CV

1. *სახელი:* ალექსანდრე
2. *გვარი:* წაქაძე
3. *დაბადების თარიღი:* 1977 წლის 3 აგვისტო
4. *ეროვნება:* ქართველი
5. *მისამართი:* ქ. თბილისი, პაატა სააკაძის N19
6. *პირადი N*18001005985
7. *საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა):* 599-72-72-59, **m.tsakadze@mail.ru**
8. *ოჯახური მდგომარეობა:* დაოჯახებული – მეუღლე და ორი შვილი
9. *განათლება:*

დაწესებულება	დაწყების თარიღი	დამთავრების თარიღი	ხარისხი / დიპლომის N
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	1995	2000	ბაკალავრის ხარისხი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით (დიპლომის N005092)
საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტი	2000	2005	მაგისტრის აკადემიური ხარისხი შენებელ-ექსპერტის კვალიფიკაციით (დიპლომის N000008)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2006	2011	ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მშენებლობაში (დიპლომის N000355)

10. *სამუშაო გამოცდილება:*

თარიღი	2004-2006
დამქირავებელი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თანამდებობა	მშენებლობის ტექნოლოგიის ფუძე-საძირკვლების და ტექნიკური დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ინჟინერ-პროგრამისტი

თარიღი	2006-2007
დამქირავებელი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თანამდებობა	სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

თარიღი	2009-დღემდე
დამქირავებელი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თანამდებობა	სამშენებლო ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

თარიღი	2009-დღემდე
დამქირავებელი	შპს „მშენ-ექსპერტი“
თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი

11. *სამეცნიერო ინტერესები:*

– ექსპლუატაციაში მყოფი შენობა-ნაგებობების და ზიანებისა და ნარჩენი რესურსების კვლევა

12. *გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:*

– С.Н. Блиадзе, В.Н. Балавадзе, Г.А. Гогуадзе, А.т. Кацадзе, М. В. Цакадзе, Вопросы обработки новых неавтоматических моделей для оценки работоспособности геометрически сложных систем, международный научный журнал "Проблемы механики" №1(18), Тбилиси, 2005, ст. 49-52;

– М.А. Цикаришвили, А.В. Цакадзе, П.О. Кониашвили, Л.Н. Балавадзе Обеспечение безопасности зданий-сооружений методами строительного и неразрушающего контроля, международный научный журнал "Проблемы Механики" №2(23), 2006, ст. 101-105;

– მ. წიქარიშვილი, გ. ლალუნდარიძე, ა. წაქაძე, პ. ქონიაშვილი, თ. ქოჩიაშვილი ექსტრემალურ პირობებში ავარიების პროგნოზირების ავტომატური კონტროლის სისტემების დამუშავება, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ენერგია“ №1(37), 2006, გვ. 53-56;

– Р.И. Имедадзе, Ал. В. Цакадзе Упрощенный способ статического расчета комбинированных ферм, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №1, თბილისი, 2006, გვ. 22-27;

– ა. წაქაძე, კ. ბაბილოძე, პ. ქონიაშვილი, ი. ღარიბაშვილი მეთოდური მიდგომები შენობა-ნაგებობების ავარიების ანალიზის და რისკის მართვისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №2, თბილისი, 2006, გვ. 82-87;

– მ. წიქარიშვილი, კ. ბაბილოძე, პ. ქონიაშვილი ა. წაქაძე პოტენციურად საშიში ობიექტების მოსალოდნელი ავარიების განვითარების შეფასება და რისკის დონის შერჩევა, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ენერგია“ №4(40), თბილისი, 2006, გვ. 98-101;

– მ. წიქარიშვილი, ა. წაქაძე, ა. ჭიპაშვილი, პ. ქონიაშვილი ექსტრემალურ პირობებში შენობა-ნაგებობების მდგომარეობის დიაგნოსტიკა და ავარიის პროგნოზირება, სტუ-ის შრომები, №2(460), თბილისი, 2006, გვ. 19-23;

- A. Tsakadze, M. Tsikarishvili, T. Nareklishvili, L. Zambakhidze, T. Magradze, D. Kupatadze Experimental Research of fiber-Optical System of Concrete Constructions Monitoring," Problems of mechanics" international scientific journal `1(34), 2009, p. 84-89;
- წაქაძე, თ. მაღრაძე, რ. იმედაძე, მ. წიქარიშვილი, ლ. დარბაიძე ნაგებობის კედლებში და მათ მოპირკეთებაში წარმოშობილიბზარების მიზეზების თავიდან აცილების გზები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა" №2(13), თბილისი, 2009, გვ. 20-24;
- ა. წაქაძე, მ. მანჯავიძე, მ. ვარდიაშვილი, მ. წიქარიშვილი, თ. მაღრაძე ბაგირის ტესტირება და მონიტორინგი ბოჭკოვან-ოპტიკური სენსორებით, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა" №3(14), თბილისი, 2009, გვ. 16-20;
- ა. წაქაძე ბზარებით დაზიანებული კონსტრუქციების დეტერმინირებული ანალიზი, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა" №4(15), თბილისი, 2009, გვ. 47-52;
- მ. წიქარიშვილი, ა. წაქაძე, თ. მაღრაძე, გ. ერაგია დაზიანებული (ბზარებიანი) შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება, ბზარმედეგობის და მარაგის დადგენა, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა" №2(17), საერთაშორისო-სამეცნიერო ტექნიკური კონფერენციის „სამშენებლო მექანიკის პრობლემების" შრომების კრებული თბილისი, 2010, გვ. 160-166;
- რ. იმედაძე, მ. წიქარიშვილი, თ. მაღრაძე, ა. წაქაძე. შენობა-ნაგებობების დაზიანების მიზეზები და ავარიულობის ნიშან-თვისებები, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი" თბილისი, 2010;
- რ. იმედაძე, თ. ღარიბაშვილი, ა. წაქაძე თბოსაიზოლაციო სამუშაოები, მასალები და მათი გამოყენების მეთოდები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა" №1(20), თბილისი, 2011, გვ. 35-40;
- ა. წაქაძე, კ. ბაბილოძე, მ. წიქარიშვილი შენობა-ნაგებობების დეფორმაციების მონიტორინგის სისტემების დამუშავება, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა" №2(21), თბილისი, 2011, გვ. 73-79;
- ა. წაქაძე შენობა-ნაგებობების ზღვრული მდგომარეობის შესწავლა დაზიანებების გათვალისწინებით, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა" №2(21), თბილისი, 2011, გვ. 80-88;
- ა. წაქაძე. ექსპლუატაციაში მყოფი შენობა-ნაგებობების ზღვრული მდგომარეობის და ნარჩენი რესურსის კვლევა დაზიანებების გათვალისწინებით. სადისერტაციო ნაშრომი, 2011.

13. *შესრულებული სამუშაოები (პროექტები):*

წელი:	2008	მდებარეობა	სოფ. ვანათი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	სამხრეთ ოსეთის სოფ. ვანათის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.		

წელი:	2009	მდებარეობა	ქ. თბილისი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. თბილისის თეატრალური ინსტიტუტის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დასკვნის და რეკომენდაციების მომზადება მისი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით		

წელი:	2009	მდებარეობა	ქ. გორი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. გორში 1. ბესიკის ქ. N2-ში მდებარე პროფესიული განათლების ცენტრის, 2. მოსკოვის ქუჩაზე პროფესიული განათლების ცენტრის შენობების ექსპერტიზის და აღდგენა-გაძლიერების პროექტი		

წელი:	2009	მდებარეობა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. რატევანში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო სტადიონის მოედნის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება		

წელი:	2009	მდებარეობა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. რაჭისუბნის კულტურის სახლის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება		

წელი:	2010	მდებარეობა	ქ. თბილისი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. თბილისში კაიროს ქ. N38-ში მდებარე სამრეწველო შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება		

წელი:	2009	მდებარეობა	ქ. თბილისი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. თბილისში კაიროს ქ. N38-ში მდებარე სამრეწველო შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება		

წელი:	2009-2012	მდებარეობა	ქ. თბილისი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. N5ა-ში მდებარე „რუსთავი 2"-ის კუთვნილი შენობის ე.წ. სტუდიური ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დასკვნის მომზადება და აღდგენა-გაძლიერების და ახალი შენობა-ნაგებობების მონყობის პროექტის მომზადება		

წელი:	2009	მდებარეობა	ქ. რუსთავი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. რუსთავში მშვიდობის ქ. N12 ქიმბოჭკოს ტერიტორიაზე ტყავის წარმოების საამქროების და ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება		

წელი:	2009	მდებარეობა	ქ. მარნეული
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართი სადგურის და ავტოსახელოსნოების ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და პროექტი		

წელი:	2010	მდებარეობა	ქ. თბილისი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. თბილისში გლდანის II მ/რ-ნი, 47 კორპუსის ბ. 26-ში აივნის მიშენების რეკონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა		

წელი:	2011-2012	მდებარეობა	ქ. თბილისი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. თბილისში შსს მთავარი სამართველოების ახალი ადმინისტრაციული შენობების კონსტრუქციული ნაწილის პროექტები		

წელი:	2011	მდებარეობა	ქ. თბილისი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თორნიკე ერისთავის 2/4-ში მრავალფუნქციური სავაჭრო-საოფისე შენობის პროექტი		

წელი:	2012	მდებარეობა	ქ. თბილისი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. ფოთში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 04.01.02.817) ტერმინალის პროექტი		

წელი:	2012	მდებარეობა	ქ. თბილისი
დაკავებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი		
პროექტის სახელწოდება:	ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. №160-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტი		

14. *სალექციო კურსები, რომლის წაკითხვაც შემიძლია:*

- რკინაბეტონის კონსტრუქციები;
- შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია გაძლიერება.

15. *კომპიუტერის ფლობა:* **Windows, Word, Excel, Autocad, Archicad, ЛИРА**

სახელი გვარი
ნიკა კაპანაძე
საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომ.
საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი II მკ/რ-ნი, კორპ. 26, ბ. 108
ტელ ☎ 282-55-85 ☎ 595-343-445
დაბადების თარიღი, ადგილი და პირადი №
1989 წლის 14 თებერვალი, ქ. ჭიათურა, პ/654001044133



მოქალაქეობა
საქართველო
განათლება
1995-2006 წწ – ქ. ჭიათურის I საშუალო სკოლა
2006-2010 წწ – „მცირე აკადემია“ (ბაკალავრიატი)
2011 წ – მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პროფესიული სერტიფიკაციის ორგანო (უძრავი ქონების ამგეგმავი, სერტიფიკატის №S-0025)
2012 წ – შემდუღებელთა და მასალათმცოდნეთა კავშირი (ურღვევი კონტროლის I დონის სპეციალისტი, მოწმობის №WMU-D-1053)
ენების ცოდნა
ქართული – მშობლიური
ინგლისური – ლექსიკონის დახმარებით
სამუშაო ადგილი
2011 წ-დან დღემდე შპს „მშენ-ექსპერტი“ – დეფექტოსკოპისტი-ამზომელი
შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი

<u>2011 წელი</u>

1. ფსიქიკური დაწესებულებების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის შერჩეული შენობა-ნაგებობების ტექნიკური და კონსტრუქციული მდგრადობის შესწავლა:
   - ქ. თბილისი სს „აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი“ ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №18/20 მარცხენა ფლიგელის დამხმარე შენობა;
   - ქ. რუსთავში, წმ. ნინოს ქ. №5, ამბულატორიული მეთვალყურეობისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრის შენობა;
   - ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. №21ა, არსებული კომპლექსის 5 სართულიანი შენობა;
2. შპს „კავკასუს მეტალ ტერმინალი“-სთან 2012 წლის 10 თებერვალს გაფორმებული

№02/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. ფოთში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 04.01.02.817) ტერმინალის პროექტის ტერიტორიის აზომვითი ტოპო-ნახაზის მომზადება;

3. შპს „ლუგამინო ჰოლდინგს ლიმიტედ“-სთან 2012 წლის 2 აპრილს გაფორმებული №05/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. ქობულეთში მშენებარე ერთსართულიანი და სამსართულიანი შენობების კომპლექსის ეტაპობრივი ექსპერტიზა;
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან 2012 წლის 3 აპრილს გაფორმებული №169 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიანი/მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების (კორპუსების) სახურავების, №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის და მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ოთახების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-აზომვითი სამუშაოების შესრულება;
5. შპს „ლუგამინო ჰოლდინგს ლიმიტედ“-სთან 2012 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული №17/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: კოჯრის უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლის გამოკვლევა;
6. შპს „№2 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“-სთან 2012 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული №18/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. თბილისი, ალექსანდრე გობრონიძის №27-ში მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;
7. შპს „თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“-სთან 2012 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული №4046/10/49 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველაზე მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;
8. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან 2012 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული №124 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის შენობის გამოკვლევა;
9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან 2012 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული №5085/43 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს „2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, დაბა წყნეთში, დ. გურამიშვილის ქუჩა, აგრომრეწვის დ/ს, კორპ. №4-სა და №5-ში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტების სახურავების დეფექტური აქტის მომზადება; 10. შპს „GLOBAL AUDIT“-სთან 2013 წლის 12 თებერვალს №04/13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ფარავნის ჰიდროელექტროსადგურზე 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე რეალურად შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების განსაზღვრა, ასევე ამ სამშენებლო სამუშაოებზე გამოყენებული სამშენებლო მასალების რაოდენობისა და ღირებულების დადგენა მასალების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტების გათვალისწინებით;
ოჯახური მდგომარეობა
დაოჯახებული

შ.პ.ს.
“მშენ-ექსპერტი”

LTD
“B U I L D-E X P E R T”

30 ივნისი 2014 წ.

ექსპერტიზის დასკვნა

ობიექტის მისამართი:	ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება მე-4ბ მკ/რ, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთი (ს.კ.01.11.13.010.051)
დამკვეთი:	შპს „ESSA GE“, დირექტორი: ე. ჯალაღონია
დასკვნის შედგენის საფუძველი:	ხელშეკრულება №88/14, 23.06.2014 წ
ობიექტის დასახელება:	ასაშენებლი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი
დაწყებულია:	2014 წლის 23 ივნისი
დასრულებულია:	2014 წლის 30 ივნისი

თბილისი
2014 წელი

შპს „მშენ-ექსპერტი“

ვამტკიცებ,
დირექტორი _____
მ. წიქარიშვილი
თბილისი
2014 წლის “30” ივნისი

ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4ბ მკ/რ-ში,
№29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051)
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის
კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი
2014 წელი

შემადგენლობა:

1. შესავალი
2. ექსპერტების მონაცემები
3. ექსპერტების წინაშე დასმული შეკითხვები
4. კვლევითი ნაწილი
5. დასკვნა



1. შესავალი

2013 წლის „23“ ივნისს შპს „ESSA GE“-ს დირექტორს ვ. ჯალაღონიასა და შპს „მშენ-ექსპერტი“-ს დირექტორს მალხაზ წიქარიშვილს შორის გაფორმებული №88/14 ხელშეკრულების საფუძველზე დაინიშნა ექსპერტიზა.

2. ექსპერტის მონაცემები

ექსპერტიზის ჩატარება დაევალა:

ალექსანდრე წაქაძე – განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი, მშენებლობის ექსპერტის მაგისტრის ხარისხი, მშენებლობის აკადემიური დოქტორის ხარისხი, მუშაობის სტაჟი – 8 წელი.

3. ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვა

გთხოვთ ჩაგვიტაროთ ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4ბ მკ/რ-ში, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.

გამოსაკვლევად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

1. ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4ბ მკ/რ-ში, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი, არქიტექტურული ნაწილი – ელექტრონული ვერსია
2. ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4ბ მკ/რ-ში, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი, კონსტრუქციული ნაწილი – ნაბეჭდი ალბომი, ერთი ეგზემპლიარი;
3. ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4ბ მკ/რ-ში, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული გაანგარიშება საანგარიშო კომპლექსური პროგრამა „лира“-ში – ნაბეჭდი ალბომი, ერთი ეგზემპლიარი, ელ. ვერსია

4. ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4[ბ] მკ/რ-ში, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში – ნაბეჭდი ალბომი, ერთი ეგზემპლიარი

გამოყენებული ლიტერატურა

1. СНиП 2.02.01-83 основания зданий и сооружений, 1983 г.;
2. Справочник проектировщика. „Основания фундаменты и подземные сооружения“. М. 1985 г;
3. СНиП 2.03.01-84* „Бетонные и железобетонные конструкции“. М. 1988 г;
4. სეისმომედეგი მშენებლობა პნ 01.01-09.

4. კვლევითი ნაწილი

საექსპერტოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4 მკ/რ-ში, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი, კონსტრუქციული ნაწილი. პროექტი დამუშავებულია შპს „ეპიკ დიზაინი“-ს მიერ, დირექტორი ნ. სიხარულიძე, პროექტის ავტორი ნ. სიხარულიძე, კონსტრუქტორი ი. ურუშაძე.

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება მე-4 მკ/რ-ში, №29 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.11.13.010.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ 11-სართულიან შენობას სარდაფით. სართულის სიმაღლით 3.3 მ.

საპროექტო დოკუმენტაციიდან ირკვევა: სამშენებლო მოედნის სეისმურობა შეადგენს 8 ბალს, თოვლის დატვირთვა 0.5 კპა, ქარის დატვირთვა 0.85 კპა-ს. შენობის მდიზი კარკასი გადაანგარიშებულია საანგარიშო კომპლექსური კომპიუტერული პროგრამით „лира“. საძირკვლის ფუძედ მიღებულია მე-3 შრე (მერგელები, R_0=3.0 კგძ/სმ^2). საძირკველი წარმოადგენს რკინაბეტონის ფილას. საძირკვლის დონეში განლაგებულია თიხნარი ფენა, რომელიც სეისმური თვისებებით განეკუთვნება მე-3 კატეგორიას. გრუნტზე დაყრდნობისათვის გამოყენებულია 1.5 მ სისქის დატკეპნილი ბალასტის ფენა, რის გამოც შენობა გაანგარიშებულია 9-ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე. ბალასტის დატკეპვნა გათვალისწინებულია ეტაპობრივად 200÷250 მმ ფენებად. საძირკვლების მოსაწყობად გამოყენებულია W6 მარკის ბეტონი

შენობის მშენებლობა გათვალისწინებულია ეტაპებად: თავდაპირველად განსაზღვრულია აშენდეს შენობის ნაწილი „ა-გ“ ღერძებში (მრავალსართულიანი ნაწილი), შემდეგ კი „ა'-ა“ ღერძებში არსებული ნაწილი, არათანაბარი ჯდენების თავიდან აცილების მიზნით. „ა'-ა“ ღერძებში არსებული ნაწილი სახსრულად ეყრდნობა ძირითად კორპუსს, ნაკერი სრულდება როგორც რიგელებში, ასევე საყრდენ კედელსა და რიგელს შორის

შენობა წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასულ ნაგებობას. რკინაბეტონის მონოლითური სვეტებით, კოჭებითა და სართულშუა გადახურვის ფილებით.

ყველა მზიდი კონსტრუქცია შესრულებულია მონოლითურ რკინაბეტონში – გამოყენებული არმატურის კლასი A500C, საკიდებში გამოყენებულია A240, ბეტონის კლასი შეადგენს B30-ს.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი წარმოდგენილია A-3 ფორმატის 81 ნაბეჭდ ფურცელზე, მათ შორის:

ფურცელი 01 – სარჩევი;

ფურცელი 01, 02 – ქვაბულის გეგმა, ქვაბულის ჭრილი;

ფურცელი 03÷11 – საძირკვლის ფილა; საძირკვლის ფილა ქვედა შრის არმირება; საძირკვლის ფილა ქვედა შრის დამატებითი არმირება; საძირკვლის ფილა ზედა შრის არმირება; საძირკვლის ფილა ვერტიკალური არმირების სქემა; საძირკვლის ფილის ჭრილი 1-1; საძირკვლის ფილა არმატურის გამონაშვერები 1÷5; საძირკვლის ფილა არმატურის გამონაშვერები 6, 7, 8;

ფურცელი 12÷23 – მარკირების გეგმა -0.10 ნიშნულზე; +3.10 ნიშნულზე; +6.30 ნიშნულზე; +9.50 ნიშნულზე; +12.70 ნიშნულზე; +15.90 ნიშნულზე; +19.10 ნიშნულზე; +22.30 ნიშნულზე; +25.5 ნიშნულზე; +28.70 ნიშნულზე; +31.90 ნიშნულზე; +34.30 ნიშნულზე;

